

Handwritten notes in the top left corner, including the number 16070.



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

№ 21/23/03-5569

1407 200

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს  
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის  
დირექტორს ბატონ ირაკლი გივიაშვილს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ ამა წლის 8 ივლისის №2/11477-14 წერილით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტი „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამხედრო გრანტის შესახებ“, ასევე ოქმის პროექტი საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ფინანსური დახმარების განხორციელების შესახებ“ და მათ მიმართ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები და წინადადებები არ გაგვაჩნია.

აქვე გაცნობებთ, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეთანხმებისა და ოქმის პროექტებს გააჩნდეთ დებულება მათი შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის თანახმად წარმოდგენილი შეთანხმება და მისი ოქმი ვქვემდებარებიან საქართველოს პარლამენტის მიერ მათ რატიფიცირებას.

პატივისცემით,

შალვა კვინიანიძე  
საერთაშორისო საჯარო სამართლის  
დეპარტამენტის უფროსი

14168/2-14  
1607 8  
1



№ 07-04/6948

23. 07 2008

ოქვენს № \_\_\_\_\_

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2008 წლის 8 ივლისის №2/11475-14 წერილი, რომელიც ეხება "საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამხედრო გრანტის შესახებ შეთანხმების" და "საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ფინანსური დახმარების განხორციელების შესახებ ოქმის" პროექტებს.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით ფინანსური ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია.

დირექტორი გვინდაძე  
მინისტრის მოადგილე





საქართველო  
GEORGIA

თავდაცვის სამინისტრო  
MINISTRY OF DEFENCE

№ 62/1064  
„01“ 07 2008 წ.

*ქაჯიასვილი ბ. ე. ვლ. ი. ი. ი.*  
*ბ. ჯ.*  
*029708*

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს  
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის  
ღირექტორს ბაგონ ირაკლი გვიამაშვილს


ბაგონო ირაკლი,

„საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის  
თანახმად, შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების გავლის მიზნით, გიგზავნით  
„საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამხედრო გრანტის შესახებ“  
შეთანხმების პროექტსა და „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ფინანსური  
დახმარების განხორციელების შესახებ“ ოქმის პროექტს (ქართულ, ინგლისურ და თურქულ  
ენებზე).

დანართი: II (თერთმეტი) ფურცელი.

პატივისცემით.

*ბ. ქაჯიასვილი*



ნინო ბაქრაძე  
საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის  
დეპარტამენტის უფროსი



# საქართველო

საგარეო საქმეთა  
სამინისტრო

№ 401/14  
12 ივ 2008

## დასკვნა

**“საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამხედრო გრანგის შესახებ ხელშეკრულებისა” და “საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ფინანსური დახმარების განხორციელების ოქმის” პროექტებზე**

სამინისტრომ განიხილა “საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამხედრო გრანგის შესახებ ხელშეკრულებისა” და “საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ფინანსური დახმარების განხორციელების ოქმის” პროექტები და მათ მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები და წინადადებები:

“საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამხედრო გრანგის შესახებ ხელშეკრულების” პროექტს დაემატოს ცვლილებებისა და დამატებების ამსახველი დებულება, შემდეგი რედაქციით: „წინამდებარე ხელშეკრულებაში, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შეიძლება შეგანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომლებიც გაფორმდება ოქმების სახით და ძალაში შევა ისეთივე წესით, როგორც წესითაც ეს ხელშეკრულება შედის ძალაში. აღნიშნული სახით მიღებული ოქმები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს“.

ხელშეკრულების დასკვნითი დებულება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შესრულებულია 200- წლის -- -----, ქ-----, ორ დედნად, თითოეული ქართულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე. ამასთან, ყველა გექსგი თანაბრად აუთენტიკურია. მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებათა განსხვავებული განმარტების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება გექსგს ინგლისურ ენაზე“.

მართებულია, დაკონკრეტებულ იქნეს “საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ფინანსური დახმარების განხორციელების ოქმის” პროექტის პრეამბულაში მითითებული გრანგის შესახებ ხელშეკრულების მუსგი სათაური და თარიღი, რომლის ფარგლებშიც გამოყოფილი ფინანსური დახმარების გამოყენების მიზნითაც იდება აღნიშნული ოქმი.


მე-4 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: “ცვლილებები და დამატებები”.

მე-6 მუხლის სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს, როგორც: “ძალაში შესვლა”.

მე-7 მუხლი, თავისი ფორმით წარმოადგენს ოქმის გარდამავალ დებულებას, შესაბამისად ის უნდა ჩამოყალიბდეს მუხლის ნუმერაციის და სათაურის გარეშე, შემდეგი რედაქციით:

„შესრულებულია 200- წლის -- -----, ქ.-----, ორ დედნად, თითოეული ქართულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე. ამასთან, ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტურია. მხარეთა მიერ წინამდებარე ოქმის დებულებათა განსხვავებული განმარტების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე“.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული ხელშეკრულებისა და ოქმის დადება.



ნინო კალანდაძე  
მინისტრის მოადგილე